ყოველდღიური ფასი 5 კაპ. კვირა, 24 იანვარი 1916 წ. № 18

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1916 წ. წლიწადი მეორე

# „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

1916 წ. წლიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მოწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს უველა პრემიით მიიღებს.

### პ რ ე მ ი ე ბ ი:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

## ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება:

**ქუთაისში:** 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში.

**ბათომში:** წიგნის მაღაზია „ცოდნაში“

**თბილისში:** ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან. ხართუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში“. წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში ს. მერკვილაძესთან.

**თელავში:** ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან.

**სიღნაღში:** ნიკო ახმეტელაშვილთან.

**ლაგოდეხში:** ფორე ზედელაშვილთან

**ქვემო ქიზიყში:** ფიფო ალადაშვილთან.

**ზუგდიდში:** კატო კედიასთან.

**მოსკოვში:** გრიგოლ ვეშაპელთან.

**გორში:** ალექსანდრე რომანიშვილთან.

**ხაშურში:** ტრიფონ ჯაფარიძესთან.

**ჩკადუაში:** კალისტრატე ალშიბაიასთან.

**დუშეთში:** მღ. კონსტ. კავკასიძესთან.

**ს. ფშავში:** ევგ. დალაქიშვილთან.

**ს. შილდაში:** ვასილ კევლიშვილთან.

**ს. ენისელში:** ალ. ჯორჯაძესთან.

**კახში:** ზაქარია ედილაშვილთან.

**მაჩხაანში:** ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

---

## საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საზეიმო სხდომა იანვრის 26-ს, საღამოს 8 საათზე

სხდომა გაიმართება ჩვენი ქვეყნის დიდების

# აკაკი წერეთლის

გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში, შემდეგის პროგრამით:

პირველი განყოფილება:

1. საზოგადოების თავმჯდომარის **ე. ს. თაყაიშვილის** სიტყვა სხდომის გახსნის დროს.
2. **პავლე ი. ინგოროყვას** მოხსენება: „ა კ ა კ ი“

მეორე განყოფილება:

1. **აკაკის ლექსები.** წაიკითხავენ ბ-ნნი: გრ. რობაქიძე, გრ. ნ. დიასამიძე, ნიკ. დ. ერისთავი, ალ. ყანჩელი და შალვა გ. შარაშიძე.
2. ექიმი **ივ. სპ. ელიაშვილი:** „მოგონებანი აკაკის შესახებ“.
3. დასასრულ, შემდეგი მგოსნები წაიკითხავენ აკაკისადმი მიძღვნილს საკუთარ ლექსებს: **ალ. შანშიაშვილი, აბაშელი, ს. ფაშალიშვილი და გ. ქუჩიშვილი.**

სხდომაზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი.

**ადგილების ფასი:** სკამებზე მანეთ-ნახევრიდან—ათ შაურამდე, ფეხზე დგომით—ექვსი შაური. ბილეთები გაიყიდება: კვირას ქართველ ქალთა საჩაიეში („ძმურ ნუგეშში“), ორშაბათს და სამშაბათს საღამოს 7 საათამდე წერაკითხვის მაღაზიაში, ხოლო სამშაბათს (26) საღამოს 7 საათიდან საარტისტო საზოგადოებაში.

სხდომის წმინდა შემოსავალი მიემატება აკაკის სახელობის „სახალხო სიტყვიერების“ ფონდს. (2—37—1)

---

**კვირას, 31 იანვარს დილის 11 საათზე „ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი ს“ დარბაზში დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოების**

## „მეურნე“-ს საგანგებო საზოგადო კრება

27 დეკემბერს დანიშნულ ვერ შემდგარ კრების ნაცვლად.

**განსახილველი საგნებია:** 1. გამგეობის მოხსენება თავის მოღვაწეობის, კრედიტის საჭიროების და მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში შესვლის ან დაარსების შესახებ; 2. 1916 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა; 3. ინსტრუქციები გამგეობას და სარევიზიო კომისიას; 4. საზოგადოების სავაჭროსთვის ადგილის არჩევა; 5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და სხვა მიმდინარე საკითხები. (1—38—1)

---

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

**ორშაბათს 27 იანვარს 1916 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

# ქვის მთლელნი

დრ. 4 მოქ. გ. ზუდერმანისა, თარგმ. სანდალასი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, გომელაური ზ., ვარვარიძე ვ., იმედაშვილი ა. იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, ჟივიძე იოს., სარაული მ. ჰიაურელი მ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

**ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან.50 კ.-დე.** (3—39—1)

---

## სახაზინო თეატრი

**სამშაბათს, 1916 წელს 2 თებერვალს, 1 საათზე**

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოება მართავს

## ელისაბედ ჩერქეზიშვილის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**

# სადღესასწაულო წარმოდგენას

ბილეთები ამ თავითვე იყიდება „ახალი კლუბის“ კასაში.

---

## ახალი კლუბი
## კვირას, 24 იანვარს 1916 წ.

**ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება**

# დიდი საღამო

**ქართულ საქველმოქმედო საზ. ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად**

**საღამოში მონაწილეობას მიიღებენ:** მგოსნები, მსახიობნი, ქართული ხორო მ. კავსაძისა, გურული ხორო ეროვნულ ტანისამოსში, სიმებიანი ორკესტრი, საზანდარი და სხვა. დაწვრილებით პროგრამაში.

**ბილეთები გაიყიდება:** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების კანცელარიაში, (თავ.-აზნაურობის ქარვასლაში), ახალ კლუბის კასაში და „ძმური ნუგეში“-ს საჩაიეში.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

საღამოს გამგე კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა. (2—36—2)

---

ისადილეთ გემრიელად!

## ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრო
# „ო ს ტ ე რ ი ა“

უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით

სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს ევროპიულ და კავკასიურ

## სადილ ვახშმებს

**მწვადები ყოველგვარი. საცივი, ხარშო იმერული**

საუცხოვოდ და სუფთად მორთული კაბინეტები

## ბილიარდები, ნარდი

პატივისცემით { ი. ხ. აბაშიძე, ვ. ა. თოფურიძე

(წ.—35—2)

ივახშმეთ გემრიელად!

---

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის** კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

## „ახალი კლუბი“

**ერთი კვირის პროგრამა 25—31 იანვრამდე.**

| | |
|---|---|
| **ორშაბათი.** | სინემატოგრაფი—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი. |
| **სამშაბათი.** | პეტროგრადის საიმპერატორო კონსერვატორიის ყოფილ ხორმეისტერისა და კომპოზიტორის ბ. დავიდოვსკის კონცერტი. კონცერტზე დასწრება უფასოა. |
| **ოთხშაბათი.** | სინემატოგრაფი—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმ. ორკესტრი. |
| **ხუთშაბათი.** | ქართული წარმოდგენა პიესა—„**აირია მონასტერი**“ კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორ. დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. წარმოდგენაზე დასწრება უფასოა. |
| **პარასკევი.** | სინემატოგრაფი—ბოლოს დაუკრავს სიმებ. ორკესტრი. |
| **შაბათი.** | კონცერტი სიმებიანი ორკესტრისა, განსაკუთრებულ შემუშავებულ პროგრამით. კონცერტზე დასწრება უფასოა. |
| **კვირას.** | ვენსკის ორკესტრი. დასწრება უფასოა. |

დასაწყისი კონცერტისა საღამოს 9 საათ. წარმოდგენის და სინემატოგრაფისა საღამოს 8 საათზე.

შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი, ფასი მამაკაცისა 1 მან. 5 კ. მანდილოს. და სტუდენტები (ფორმაში) 65 კაპ. (—40—1)

---

## სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.

**უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება**

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

## სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—14—11)

---

# ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## ომის დეპეშები

22 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. პაკანენის რაიონში, მიტავის შარა-გზის აღმოსავლეთით, რუსის მზვერავებმა გაჰფანტეს გერმანელები და სრულიად უზარალოდ დაბრუნდნენ უკან. იქსკიულის სამხრეთით ღამით გერმანელები შეეცადნენ ტვინაზე მუშაობა გაეჩაღებინათ, მაგრამ გარეკილ იქმნენ. საჰაერო ნავარდის დროს რუსის თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩააგდეს ბტრის ბანაკში, თუმცა გერმანელებმა სასტიკი სროლა აუტეხეს, მაგრამ მფრინავნი მაინც უვნებლად დაბრუნდნენ. დუბნოს სამხრეთით ავსტრიელები ხმარობენ ახალს აპარატებს, რომელიც 30—40 მეტრის მანძილზე ცეცხლს აფრქვევენ და მოიერიშე მტერს ახლოს აღარ უშვებენ. სტრიპზე, სადგურ ეზერნის თავზე, რუსმა მფრინავებმა ყუბარები ჩამოჰყარეს ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსთა მძიმე არტილერიამ ჰაეროპლანების დახმარებით მტრის ბატარეებს დაუშინეს სოფელ ტოპოროვცისა და რარანჩეს რაიონში. ბოიანის ჩრდილო-დასავლეთსთ რუსთა რამდენიმე მზვერავი მიეპარა მტრის მიერ დაჭერილს საფარს, ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინა, შემდეგ ამოჰრეკა ავსტრიელები, და აღმოაჩინა ორი სანაღმო გალერია, რომელნიც რუსთა თხრილების ქვეშ გაჰყავდათ, ნაღმები ააფეთქეს, ხოლო მთელი გალერეები მიწით ამოავსეს.

**კავკასიის ასპარეზი.** მიუხედავად უგზოობისა და უტეხი, გაუვალი კლდეებისა, რუსის ჯარები განაგრძობენ ოსმალთა დევნას.

---

**ვაშინგტონი,** 21 იანვარი. სტატს-სეკრეტარმა ლასინგმა გარდასწყვიტა „აპამი“ სამხედრო დავლად უნდა დაგვრჩესო.

**ჰავრი,** 21 იანვარი. მთელს ბელგეთის ფრონტზე სასტიკი სროლაა, განსაკუთრებით დიქსმიუდეს გარშემო.

**ლონდონი,** 21 იანვ. გემი „ფრანციშერი“, რომელსაც ქვა-ნახშირი მოჰქონდა, დაიღუპა „ცეპელინის“ მიერ მარტლპულიდან ლონდონში გამგზავრების დროს. გემის წყალ-რწყვა უდრიდა 957 ტონას. იგი ომის პირველ ხანებში ინგლისელებმა წაართვეს გერმანელებს.

**ლონდონი,** 21 იანვარი. მთელი დღის განმავლობაში მტერმა საშინელი საარტილერიო სროლა ასტეხა ლოოსთან და მის გარშემო მდებარე ინგლისელთა თხრილების გასწვრივ. ჩვენც მარჯვედ ვუპასუხებდით. ჰოჰენცოლერნთა სიმაგრის მახლობლად, აგრეთვე ლა-ბასეს გზაზე სანაღმო მუშაობაა.

**რომი,** 21 იანვარი. ლაგარინოს ღელეში 18 იანვარს ჩვენმა რაზმებმა არტილერიით გაიმაგრეს ზურგი და შემ-

დეგ იერიში მიიტანეს ავსტრიელებზე ზღვის ჩრდილო-დასავლეთით. ასტიკოსა და ტორეს შუა, საღამოთი, 19 იანვარს, მტერმა თეთრი მანდილი მოისხა და მოუახლოვდა ჩვენს პოზიციებს ნორეს მწვერვალებთან მილოგრობამდე, მაგრამ კონტრ-იერიში მივიტანეთ და უკუ ვაგდეთ. სუგანოს ღელეში ჩვენი ქვეითი ჯარი შეეჯახა მტრისას და ჩვენს მხარეზე გადმოიხარა გამარჯვებამ. იზონცოზე საარტილერიო სროლაა.

**ლონდონი**, 21 იანვარი. დღეს დილით ინგლისელთა ნაღმისმკრეფია ნავმა ამბავი მოიტანა, ჩრდილოეთ ზღვაში შევნიშნეთ, რომ „ცეპელინი“ უნდა ჩამოვარდნილიყოსო.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### ბალკანეთი

**ალბანეთში**

კავალოს მცხოვრებნი მტრულის თვალით უცქერიან იტალიელებს და მათზე კბილებს ილესავენ თურმე.

ტოსკანელი თემები აჯანყებულან, დაუპყრიათ ბერატი და სერბიელები დაუხვრეტიათ. რამდენიმე სერბიელი გადარჩენილა და კორფუს გზით საბერძნეთისთვის შეუფარებიათ თავი.

**რუმინეთში**

გერმანეთის ელჩი ბუშე რუმინეთის მინისტრ-პრეზიდენტთან სადარბაზოდ იყო და განუცხადა: ავსტრიის ტრანსილვანიიდან გამოქცეულ გოგის და ლუკაჩის კანდიდატურის წამოყენება პარლამენტში და აგრეთვე რუმინეთის მიერ ინგლისელებზე 80 ათასი ვაგონი ხორბლეულის გაყიდვა გერმანეთის გამოწვევას უდრის. ხორბლეულის გაყიდვა ინგლისელებზე მით უფრო მტრული ნაბიჯია, რომ ინგლისი გერმანეთსა და ავსტრიას დამშევით ემუქრება. რუმინეთიდან ამოდენა ხორბლეულის გაზიდვა კი ამჟღავნებს სურვილს, რომ ეს ხორბლეული გერმანეთში არ მოჰხვდეს.

რუმინეთმა გადაჭრით უნდა განაცხადოს თავისი გულისთქმა, გარკვეულად აღიაროს თავისი ნეიტრალობა და ევროპის შუა სახელმწიფოებს სათავდებო რამ უნდა მისცეს, რომ ნეიტრალობას არ დაარღვევს.

ბრატიანუ შეჰკითხებია: როგორს თავდებობას ითხოვთო.

მაგის თაობაზე მეფეს მოვახსენებო —უპასუხნია ბუშეს.

ამ დარბაზობის შემდეგ, ხმა გაავრცელეს, გერმანეთმა რუმინეთს ულტიმატუმი წარუდგინაო. ნამდვილად კი ბუშე მოითხოვს მეფისაგან ბრატიანუს გადაყენებას და გერმანელთა მომხრე მაიორესკუსა და მარგილომანის მოწვევას.

ბრატიანუ თურმე ამბობს: თუნდაც მეფემ მიბრძანოს არ გადავდგები, თუ პარლამენტი დასტურს არ მომცემსო.

**სალონიკი**

„მატენ“-ი სწერს: ფრანგებისა და ინგლისიელთა ჯარი მხოლოდ იმისათვის კი არ არის სალონიკში თავმოყრილი, რომ მტერს საბერძნეთის ამ ნავთსადგურისაკენ გზა გადაუღობონ, მათი უმთავრესი მიზანია, ხელი შეუშალოს მოპირდაპირის მოძრაობას დუნაისა და ბოსფორ შორის. სასურველია ამ საქმის გაჭიანურება კი არა, მალე განხორციელება.

„ტაიმს“-ი სწერს: ნუთუ მოკავშითა ჯარი სალონიკის გამაგრებულ სანგრებში ისხდებიან და დაუწყებენ ლოდინს, როდის მოვა იერიშით მოპირდაპირე? როდემდის უნდა ისხდნენ აქ, დოირანსა და გევგელში მდგომ ერთი მუჭა ბულგარელების სამეთვალყუროდ? მტერს არა სძინავს, თავისს საქმეს განაგრძობს, და ყურსაც არ იბერტყავს, რომ სალონიკში საკმაოდ ძლიერი ჯარია თავმოყრილი.

**კავკასიის ასპარეზი.**

„ბ. ვ“-ის სიტყვით, ოსმალებს კავკასიის ასპარეზზე 14 დივიზია ჰყოლიათ. ამათ გარდა ჰყოლია სპარსეთის საზღვრის მახლობლად მობინადრე ქურთების რაზმები.

სპარსეთში ოსმალებს ჰყოლიათ 5 დივიზია.

ტორტუმ-ღელეს მხარეს ოსმალეთს 10 დივიზია ჰყავდა. ოსმალები ძალიან ამაგრებენ აზრუმს. აქეთ მხარეს რუსები გაზეთების ცნობით, იმარჯვებენ და თოვლ-ყინულიან მთებიდან ველში ჩადიან.

**ახალი რკინის გზა.**

გერმანელებს ახალი რკინის გზა გაჰყავთ პონევეჟის და მიტავის შუა.

**რუმინეთის მდგომარეობა.**

რუმინეთის მინისტრები კარპი და ბურიანი საგანგებოდ გაწვეულ იქმნენ ვენაში. ბურიანს კერძოთ ულაპარაკნია უნგრეთის მინისტრ ტისასთან. გაზეთების ცნობით რუმინეთის წარმომადგენლების მოლაპარაკებას ცენტრალურ სახელმწიფოებთან (გერმანეთთან და ავსტრიასთან) გადამწყვეტი მნიშვნელობა ექმნებაო.

ათინის გაზეთი იტყობინება, რუმინეთი მალე გამოვა სამხარ ასპარეზზე და გერმანეთთან და ავსტრიასთან ერთად იქნებაო. თუმცა გაზეთმა საიდან გაიგო ეს ცნობა, არ არის ნაჩვენები. გაზეთის სიტყვით თითქოს მოლაპარაკებაც გათავებული იყოს და ვითომც გერმანეთს მიეცეს მთელი დობრუჯი და მის ახლოს მდებარე ადგილები. ტრანსილვანიას ეძლევა ავტონომია. ამის გარდა გერმანეთს აღუთქვავს დახმარება ფულით და სამხარ სურსათით.

**ზავის გარშემო.**

„Neue Zür. Zeit.“ დაბეჭდილია ფრიად დამახასიათებელი წერილი მოსავალი ზავის შესახებ. „ზავიო,—სწერია ამ წერილში,—ჩამოვარდება არა გერმანეთის ბრძანებით ან და ინგლისის მიერ, არამედ მთელი ევროპის კარნახით. უკვე ფაქტებმა ნათელ ჰყვეს, თუ რა ამაო ოცნებანი იყო ბერლინ-ვენისკენ გალაშქრება, ანუ პარიზ-ლონდონზე იერიში, რათა მტრის მომაკვლინებელი მახვილი პირდაპირ გულში ჩაეცა და მთლად მოესპო მისი ლაშქარი. ბრძოლა ცენტრიდან ახლა პერიფერიებზე გადადის, ეხლა ბერლინ-ვენისა, პარიზ-ლონდონის მაგიერ ამბობენ—სალონიკს, სტამბოლს, ბაღდადს, ქაირს, ბრძოლას აზიაში და აფრიკაში. ევროპაში გამარჯვებული არავინ იქნება, რადგანაც არცერთი მებრძოლი საბოლოოდ ვერ დამარცხდება. ისინი, ვინც ამბობენ, უნდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ, დავამარცხოთ მტერი, რათა მეორედ ომი თავიდან ავიცილოთო, საშინლად სტყუვდებიან, რადგანაც მეორე ომი უკვე დაიწყო გერმანელთა სერბეთში გალაშქრების დღიდან. პირველი პირობა რომ ზავი ჩამოვარდეს გახლავთ ის, რომ მოკავშირეებმა ხელი აიღონ ოცნებაზე, ვითომც გერმანეთის მილიტარიზმს შემუსრავენ.

**ლატიშელი ხიზნები.**

რიგაში არსებულ ლატიშელთა კომიტეტების ცნობებით, დღეს ევროპაში და აზიის რუსეთში გახიზნული ყოფილა თითქმის 1 მილიონი მცხოვრები, თითქმის ნახევარი მთელი ლატიშების რაოდენობისა.

**აზრუმის გარშემო.**

არზრუმთან რუსის ჯარის მიახლოვებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და თითქმის ყველა გაზეთი აალაპარაკა. სტამბულშიაც თათბირი ჰქონდა ოსმალეთის მთავარ შტაბს და იმ აზრს გამოსთქვამდნენ, რომ ენვერფაშა გაეგზავნათ არზრუმის დასაცავად, მაგრამ ეს გარდაწყვეტილება გადასდეს და სულთანის ბრძანებით სასწრაფოდ გაგზავნეს ფონ-დერგოლც-ფაშა, რის გამოც დროებით გადადებულ იქმნა ეგვიპტის ოპერაცია.

გალიპოლის კუნძულიდან სასწრაფოდვე აზრუმთან გადატანილ იქმნა ოსმალეთის მძიმე არტილერია.

ბერლინშიაც საგანგებოდ დაინიშნა კრება იმ საკითხის გამოსარკვევად თუ როგორ უწამლონ აზრუმს და რა პასუხი გასცენ რუსის ჯარს.

**ტყვეების გაცვლა.**

ნიდერლანდიის მთავრობას შუამდგომლობით ბულგარეთმა გაანთავისუფლა სოფიაში მყოფი საფრანგეთისა და ინგლისის არქივის გამგენი. სამაგიეროდ საფრანგეთმაც გაანთავისუფლა პარიზში მყოფი ბულგარეთის საკონსულოს შემადგენლობა.

**ბულგარები დასავლეთ ასპარეზზე.**

როტერდამიდან ცნობაა: ბულგარეთის ჯარი საფრანგეთის ასპარეზზე გადმოიყვანესო. იზერთან დღე მუდამ გაჩქარებით ეზიდებიან სამხარ და საინჟინერო მასალას. აგრეთვე სწრაფად ახლებენ მოსაგერიებელ სიმაგრეებს.

**პოლონელები ამერიკაში.**

ჩიკაგოში დაარსებულა პოლონელთა კომიტეტი, რომელიც ომის დასრულებისას სამშობლოშივე დააბრუნებს რუსეთის პოლონეთიდან გადახვეწილ პოლონელებს.

**ვილსონის აზრი.**

ამერიკის პრეზიდენტს განუცხადებია: ომის ცეცხლი შეიძლება მთელს ქვეყანას მოედოს. თუ ყურადღებას აქცევთ დეპეშებს, კარგად დაინახავთ, თუ რა ძნელია ზავის ჩამოგდება. ყოველი კუთხე თუ ქვეყანა მზად უნდა იყოს თავი დაიცვას და სიცოცხლე შეინარჩუნოს.

**ჰაეროპლანები.**

მოწინააღმდეგის ჰაეროპლანი დვინის მაღლა გადაფრენილა, ჰაეროპლანიდან რამდენიმე ყუმბარა ჩამოუგდიათ.

# უკანასკნელი ფოსტა

**თავგანწირული ბრძოლა.**

ფლანდრიაში საშინელი თავგანწირული ბრძოლაა. იწერებიან, გერმანელები მედგარის იერიშით მიდიან და მოპირდაპირის ჯარის გარღვევას ცდილობენო. აქვე გადაუყვანიათ ბულგარელთა ჯარიც.

**ჟეკოვის აზრი.**

ბულგარელ მთავარსარდალს ჟეკოვს სამი მოსაზრება გამოუმჟღავნებია: 1) ბულგარეთსა და საბერძნეთს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ რუმინეთს შორის დიდი მეგობრული კავშირი განმტკიცდებაო. 2) ომი აუცილებლად ამ წელიწადს დასრულდება და ზავის პირობებს გერმანეთი წარმოადგენსო და 3) იტალია განკერძოებით ზავით შეეკვრება ავსტრიასაო.

**რუმინეთის გამოსვლა.**

რუმინეთი საბრძოლველად ემზადება და თებერვალში აპირობს გამოსვლას.

**მომავალი ბრძოლა.**

რუსეთის გაზეთების ცნობით დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ ამ ხანად გერმანელები და ავსტრიელები საფრანგეთის ფრონტზე თავდაცვითი ბრძოლას აწარმოებენ, ხოლო რუსეთის ფრონტზე გადამწყვეტ იერიშებს მოიტანენ.

# ბრძოლის ველზე

გუშინდელი დეპეშების სიტყვით არსებითი რამ ცვლილება რუსეთის ასპარეზზე არსად მომხდარა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ავსტრიელებს დუბნოს სამხრეთით ბრძოლაში ახალ საშუალებისათვის მიუმართავთ. მათ სანგრებთან დაუდგამთ ისეთი მანქანები, რომელიც თურმე, 30—40 ადლის მანძილზე ცეცხლს ისვრის და სანგრებს მტრის მიკარებისაგან იცავს. კავკასიის ასპარეზზე დიდი ნამქერები და ქარბუქი ყოფილა, ამისდა მიუხედავად რუსის ჯარი მაინც ფეხდაფეხ სდევნის მოპირდაპირეს.

გ. გ.

## თბილისი, 24 იანვარი.

საერთაშორისო ქიშპობაში მრეწველ ქვეყანას ბევრი უპირატესობა აქვს წმინდა მეურნე ქვეყნის წინაშე. ეს ჭეშმარიტება ცნობილი იყო წინადაც, მაგრამ მსოფლიო ომმა განსაკუთრებით ნათელ ჰყო იგი. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ერისთვის ქვა-ნახშირი, რკინა და სპილენძი უფრო გავლენიანი საჭირველი ყოფილა ვიდრე ხორბალი. ის გარემოება, რომ გერმანიამ ამდენს ხანს ასე თუ ისე გაუძლო ყოველი მხრივ მოზღვავებულს მტერს, იმით აიხსნება, რომ მის ხელში დიდათ განვითარებული საკუთარი მრეწველობის გარდა, მთელი ბელგიის და ჩრდილო საფრანგეთის სამრეწველო რაიონებია. ეს კი მეტის მეტად აძლიერებს მის საბოლოო შანსებსაც.

დღევანდელი ომის გაკვეთილი ძლიერ საყურადღებოა ჩვენი სამშობლოსათვისაც. საქართველოს ეროვნული სისუსტე წარსულში, მისი პოლიტიკური დაქსაქსვა დ არევ დარევა სხვათა შორის ეკონომიური ჩამორჩენითაც აიხსნება. ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეჰქმნა დროის ეროვნული წარმოება დ მესამე წოდება: თავი ვერ დააღწია მიწადმომქმედი ერის კარჩაკეტილობას და სიღარიბეს. სამეფო ძალა მარტოდ მარტო დარჩა აღვირახსნილ ფეოდალურისა და გულგრილი გლეხობის წინაშე და ვერ შესძლო თავის ავტორიტეტის განმტკიცება. მხოლოდ ეროვნულ ბურჟუაზიას შეეძლო თემობრივი და პროვინციულ ზღუდეების გადალახვა, მაგრამ ჩვენში ფეხი მხოლოდ უცხოელმა კაპიტალმა მოიკიდა, რომელიც ეროვნული მიზნებით არ იყო გამსჭვალული. ამიტომ გასაკვირალი არ არის რომ როცა ჩვენს ქვეყანაში უცხო პოლიტიკური ძალა შემოიჭრა ხალხში არ აღმოჩნდა ძალა, რომელსაც გავლენიანი წინააღმდეგობა შეეძლებოდა.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა რომ საქართველო ბუნებით მეურნეობისთვის არის გაჩენილი და წარმოებაზე ოცნება ფუჭიაო. ჩვენი სამშობლოს ტერიტორია საუცხოვო პირობებს იძლევა თანამედროვე ინდუსტრიის განსავითარებლად. ცნობილია რომ ამ უკანასკნელისთვის უწინარეს ყოვლისა ქვანახშირი და ლითონის მადანია საჭირო. ევროპიელი მკვლევარნი ამტკიცებენ, რომ კავკასიაში საზოგადოთ და საქართველოში კერძოდ უხვად მოიპოვება ერთიცა და მეორეც. ქვანახშირის მაგივრობას თათანამედროვე წარმოებაში ხშირად ელექტრონიც თამაშობს. საქართველო არაჩვეულებრივად მდიდარია ჩქარი მდინარეებით და ჩანჩქერებით, რომელთაც აუარებელი ენერგიის მოცემა შეუძლიათ.

მაგრამ ეროვნული წარმოების შესაქმნელად მარტო ბუნებრივი სიმდიდრე არ კმარა, საჭიროა სოციალური შრომის გაძლიერება და მოწესრიგებაც. ამ მხრივ კი ჩვენი სამშობლო სამწუხაროდ ნაკლებ ბედნიერ მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენი ენერგია შებოჭილია წარსულ დროის, ნაშთებით, გლეხობა ჯერ კიდევ ნახევარ ადამიანურ პირობებში სცხოვრობს, უფლებრივი თანასწორობა ჯერ კიდევ მიღწეული არაა. საზოგადოების პოლიტიკური და უფლებრივი დემოკრატიზაცია აუცილებელი პირობაა თანამედროვე კაპიტალიზმის გასანვითარებლად.

ბოლოს ერთგვარი ფსიხოლოგიის შექმნაც არის საჭირო. საჭიროა რომ განმტკიცდეს კერძო საკუთრების პატივისცემა, საჭიროა ხალხი მომჭირნეობას და საქმიანობას შეეჩვიოს. თუ ხალხი მხოლოდ იმდენს ჰქმნის, რაც ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაა საჭირო, ეროვნულ კაპიტალზე ოცნება ფუჭია. კაპიტალი ერთგვარს ზედმეტს თანხას, ერთგვარ რეზერვს წარმოადგენს და ამ რეზერვის შექმნა მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ ხალხი მეტს ჰქმნის ვიდრე ხმარობს. ქართველობას კი ვერ შეუთვისებია გონიერი სოვდაგრის ფსიხოლოგია. მისი ბალანსი პასიურია.

# დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

**მოსკოვი.**

**აზრუმის მიდამოებში ბრძოლა თანდათან რთულდება. ოსმალეთმა სმირნის ვილაიეთიდან აზრუმისაკენ მავალი ჯარი გაგზავნა ანგორის გზით. ჯარი სამი დივიზიისაგან შესდგება.**

---

**სტამბოლში ამას წინად რომ ოსმალეთის ტახტის მემკვიდრემ თავი მოიკლა, ენვერ-ფაშას მოსისხლე მტრად ითვლებოდა.**

---

**რუმინეთის ელჩად ვილჰელმმა დანიშნა ჰოჰენლოე.**

---

**შესამოწმებლად თეთრ-ბილეთიანებს დაიბარებენ უკანასკნელ ექვს წელიწადს ჯარში გაწვეულებს.**

---

**ამას წინად მიტროპოლიტი პიტირიმი ცარსკოე სელოში მეფეს წარუდგა. პეტროგრადში დაბრუნებისას, მასთან სადარბაზოდ იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი, მინისტრის ამხანაგი ბელეცკი და თ-დი ერისთავი.**

# ახალი ამბავი

✧ **საქართველოს ეგზარხოსი** ხვალ დილის მატარებლით მცხეთას მიემგზავრება, სვეტიცხოვლისა და მცხეთის სამთავრის დედათა მონასტრის დასათვალიერებლად. მცხეთაშივე მიემგზავრება მათ მეუფების შესახვედრად სვეტიცხოვლის განმაახლებელ კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

✧ **ყოვლად სამღვდელო პიროხს** ეპისკოპოს ალავერდისას პეტროგრადიდან დღეს მოელიან თბილისში.

✧ **დიდი საქველმოქმედო საღამო.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება „ახალ კლუბში“ მართავს თავის ქონებრივ ღონისძიებათა გასადიდებლად საღამოს.

✧ **ელ. ჩერქეზიშვილის** სასცენო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო დღესასწაულზე დრამატიული საზოგადოება და დღესასწაულის გამმართველი კომისია მიართმევს საჩუქრებს. აგრეთვე ვაჭართა შორისაც შესდგა წრე, რომელიც ელ. ჩერქეზიშვილს უმზადებს საპატივისმცემლო საჩუქრებს.

კომიტეტის წევრად არის ბ-ნი გ. დ. ჟურულიც.

✧ **გამგეობის წევრის არჩევა.** ქალაქის საბჭომ უნდა აირჩიოს ქალაქის გამგეობის 1 წევრი ნაცვლად ა. მ. არღუთინსკისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა.

✧ **„კახეთის ამხ. კავშირის“** დამფუძნებულ კრე ის დადგენილებანი როგორც ვიცით 6 რწმუნებულმა განასახელეს. ეს საჩივარი განუხილავს პეტროგრადის ცენტრალურ წვრილ კრედიტის გამგეობას და თავის მხრივ განსახილველად გადმოუცია თბილისის საგუბერნიო წვრილ კრედიტის გამგე-

# ქართველ-სომეხთა მისწრაფებანი

(გაგრძელება. იხ. „საქ.“ № 17)

ჩვენ წინ მრავალი ფართო ადგილებია, როგორც ქიაურის საგარაკოში, ისე ზაქათალის ოლქში. მარტო ერთ ქიაურის საგარაკოში 12 ათასზე მეტი დესეტინაა, ხოლო სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქში ხომ უთვალავია ყოველისფერი. ასევე თავისუფალი ადგილი მოიპოვება ქუთაისის გუბერნიაში, პერსატთან, ბაღდადთან, ბორჩალოს მაზრაში, ახალციხის მაზრაში და სხ. ჩვენ კი ასე უთავბოლოდ დავეხეტებით. მუხლმოდრეკილი გევედრებით თქვენო ბრწყინვალებავ, ნუ ინდომებთ ჩვენი ოჯახების გაუბედურებას. კეთილ ინებეთ და განკარგულება გაეცით მოგვიზომონ ადგილი სახაზინო მიწებიდან, (ჩვენთვის სულ ერთია, იქნება ეს ველი, თუ ტყიანი ადგილი), სადმე კახეთში ანუ ქუთაისის გუბერნიაში. ამასთანავე თამამად ვაცხადებ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ მეტის გაძლება აღარ შეგვეძლება. თქმა არ უნდა, თუ ყურად არ იღებთ ჩვენს თხოვნას, შიმშილით გავწყდებით, ვინც გადარჩება, ის კიდევ მშვიდობიან მშრომლიდან გახდება ყაჩაღი და მძარცველი ავაზაკი. კიდევ გემუდარებით თქვენო ბრწყინვალებავ, ნუ მიგვიყვანთ სასოწარკვეთილებამდე, არამედ თქვენი ბრწყინვალების კაცთმოყვარებისა და სათნოების თვისების მიხედვით უბრძანეთ დააკმაყოფილონ ჩვენი ხვეწნა, ჩვენი მუდარა.

აი ბატონებო, საგულისხმიერო ამბავი! ეს ათასში, შეიძლება ასი ათასში და მილიონში შემთხვევით ხელში მოხვედრილი მაგალითია!.. და ეხება ორას ოთხი მეკომური გლეხის თავგადასავალს, ე. ი. საერთოდ რომ კომლზე 6 კაცი ვიანგარიშოთ, იქნება 204×6=1236 კაცი*)

გლეხების ვექილის კობერიძის თხოვნა მისი იმპერატორობითი უმაღლესობის აწინდელ მეფის ნაცვლის სახელობაზე შემდეგი შინაარსისაა:

„მისი იმპერატორობითი უმაღლესობას მეფის ნაცვალს პირადად ჩემს მაგიერ და ჩემი რწმუნებულის 56 გლეხის გვარად გაგიშვილების, მინდიაშვილების, ტაბატაძეების და სხვ. ბესარიონ გიორგის ძე კობერიძის უქვეშევრდომილესი თხოვნა.

„თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ!

ჟამსა მძიმე განსაცდელისასა, როცა თვალ-უწვდენელს ჩვენს სამშობლოში შესაძლებელი შეიქნა შემოხიზვნა ათი და ასი ათასი გამოქცეულისა, მტრიდან აოხრებული კუთხეებიდან, ჩვენ საბრალონი შიმშილით სიკვდილისაგან გამოქცეულნი უმიწაწყლობის გამო, მიუხედავად ჩვენი სასოწარკვეთილი მუდარისა არ შეგვიძლია ჩვენსავე სამშობლოში ვიპოვნოთ ერთი ნაგლეჯი თავისუფალი მიწა, სადაც თავის შეფარება შეგვეძლოს. ჯერაც 1893 წელს ვთხოულობდი თავისუფალ სახელმწიფო ადგილზე დასახლებას, მაგრამ უარი მითხრეს 30 იანვარს 1895 წლ. № 981 ადგილობრივ სახელმწიფო ადგილების და მიწადმფლობელობის გამგეობის პირით. ასეთივე ბედი ეწვია ჩვენს ერთად შეტანილს თხოვნებსაც, რომლებიც მე და ზემო ნაჩვენებმა გლეხებმა მივართვით მთავრობას ვექილებისავე პირით.

დღეს მუხლ მოდრეკილი და თვალცრემლიანი გემუდარებით თქვენო იმპერატორობითი უმაღლესობავ, კეთილ ინებოთ და უბრძანოთ გამოიკვლიონ ჩვენი უმწეო მდგომარეობა და მოგვცენ სადმე დასასახლებელი ადგილები“...

ასე ამნაირად განაგრძობს გლეხი თხოვნას და თხოვნას ასაბუთებს სოფლის ყრილობების განაჩენებით, საიდანაც სჩანს, რომ მთხოვნელები უმიწაწყლობის გამო აყრილან მრავალი სოფლებიდან: მუხურადგან, ქალვანიდგან, ნადაბურიდგან, ცუცკნირიდგან, ცირყვალიდგან, ჩიხიდგან, კაცხიდგან, არგვეთიდგან, ბორითისიდგან, ჰალიდგან, გრიგოლეთიდგან, დურებიდგან, ვერტყვიდგან, ქობულიდგან, გოდორიიდგან, რგანიდგან, ზოლტიშიდგან (იმერეთშია); სხვავიდგან, ქვემოკრიხიდგან, ველევიდგან, შაქმერიდგან, ურავიდგან (რაჭის მაზრა); აბასიდგან, ქვიშხეთიდგან, ფლავიდგან, ცაცახურიდგან, მზეთამზედგან, მეტეხიდგან (გორის მაზრა); გელათიდგან და საკირედგან.

მე არ ვიცი რა შედეგი მოჰყვა მაგის ილაჯ-გაწყვეტილ უკანასკნელ ხვეწნა-მუდარას და მათი უნუგეშო მომავლის დასურათხატებას. მაგრამ მე უფრო მჯერა, იმათ ის აუხდებოდათ, ან აუხდებათ, რასაც თავათ წინასწარმეტყველობდენ თავიანთ თავზე ე. ი. აღგვა პირისაგან ქვეყნისა უპატრონობისა, უყურადღებობისა, უადგილობისა და უსახლ-კარობის გამო. ვიმეორებ ეს სრულებით სანიმუშო ამბავი არ გახლავთ, ვინც შინაური ამბები იცის და თვით საქმესთან დაახლოვებულია იმათ გულში, ვინ იცის, რა ზღვა ვარამი ტრიალებს?! აბა ერთი გადახსენით გული ჩვენი სამმართველოების კანცელარიებს და არქივებისა, რამდენი ამისთანები და ეს რაა, ამაზე საშინელები ამბები გეუწყოთ?! ესეთია მწარე ხვედრი საწყალი ჩვენი გლეხობისა, იმათ არ აქვთ ადგილი ჩვენს სამშობლოში დასასახლებლად. ისინი ვერ შოულობენ ადგილს, კახეთში, ბორჩალოს მაზრაში, ქართლში, ახალციხის და ახალქალაქის მაზრაში, ყარსის ოლქში, სოხუმის ოლქში და სხვა თავის სამშობლო მხარის ნაწილებში, ამიტომ იძულებულნი არიან, ან სივიწროვეში დაიხოცნენ, როგორც მთიულებს მოსდით, სვანებს, ფშავსევსურებს და სხვ., ან პირი ჩრდილოეთისაკენ ჰქნან და რუსეთში, თერგის ოლქში გადავიდნენ, ან და ისე ხეტიალში დალიონ სული, როგორც ზემომოყვანილი გლეხების ბედია.

ავიღოთ ეხლა ჩვენ მუშის მდგომარეობა. ქართველ მუშას ჩვენში ადგილის შოვნა არ შეუძლიან. თუ ვისმეს მეტის-მეტი გასაჭირი და მოთხოვნილება არ უდვას, ისე ის ქართველ მუშას არ გაიკარებს. საკმარისია ქართველმა მუშამ სომხური ან რუსული არ იცოდეს, რომ იგი თავის სამშობლოში შიმშილით მოკვდეს. ქართველი მუშა ამ მხრივ ყოველთვის დაჩაგრულია და მისთვის უფრო ხელსაყრელი გამხდარა ციმბირში ან თურქესტანში წავიდეს და იქ ეძებოს ადგილი. მას შემდეგ, რაც სომხობა შემოიჭრა ჩვენში ამ ომიანობის გამო, ჩვენი მუშის მდგომარეობა კიდევ გაუარესდა. გადმოხვეწილ მუშათა ხელი მეტათ იაფია. ერთი იმიტომ, რომ მათ მოთხოვნილება ცოტა აქვთ, მეორეც იმიტომ, რომ მათ ეხმარებიან და ცოტაც რომ აიღონ კმაყოფილნი არიან, მესამეც იმიტომ, რომ უსაქმოდ ყოფნას ცოტას შოვნაც სჯობია. ამიტომაა, რომ დღეს თბილისში, თითქმის ყველა ქარხანა-ზავოდებში მუშის ხელფასი 80 კ. 1—20 კ. თუ ადის, როცა, რომ სოფლად 2—3 მანეთად მუშა ხელს ვერა შოულობენ. წარმოიდგინეთ ჩვენი მუშის მდგომარეობა, რომელსაც მოთხოვნილება ძლიერ აქვს განვითარებული, რა ჰქნას ამ პირობებში? ესეთივეა ხვედრი ჩვენი ინტელიგენციისა. სწორედ ამით აიხსნება ჩემის ფიქრით, სხვათა შორის, ქართველ მუშა-ინტელიგენტთა, თავიანთ თავის გასოციალისტება და თავიანთი თავის ეროვნების გარეშე გამოცხადება, ცხოვრების გარეშე გარიყულები არ დავრჩეთო.

ქართველ ინტელიგენტს ადგილისა და სარჩოს შოვნა უფრო ქალაქ პეტროგრად-მოსკოვს ეადვილება ვიდრე თავის დედა ქალაქ თბილისში. დიახ, გადმოსახლების საკითხი მეტად ახლოა დაკავშირებული ჩვენს დარჩენის საკითხთან და ვინც გადმოსახლებას ხელს აწერს და საქართველოსკენ იპატიჟებს ვისმეს იმას არ უნდა დაავიწყდეს ქართველი ერის არსებობის საკითხი.

ასეთია ქართველთა ვარამი. დღეს ქართველობამ უკვე მიაქცია ყურადღება თავისს უმწეო მდგომარეობას და დარწმუნდა, რომ მისი მხსნელი მხოლოდ თვითონვე არის. დარწმუნდა, რომ არსებულმა პარტიებმა თვის რეალურ ცხოვრებაზე ააღებინა ხელი და დოქტრინულ გატაცებას მისცა ერი. დარწმუნდა, რომ ამ გატაცებით მთელი სიცოცხლის წიაღაგი უსხლტება ფეხიდან და თუ თავის ძალღონე თვის ეროვნულ მთლიანობას და სიძლიერეს არ შეალია, ის გარიყული რჩება ცხოვრებიდან და თანდათან გადაგვარებისა და მოსპობის გზას ადგება. დღეს იმასაც უკვე თავისი მიზნები აქვს, დღეს მას უკვე გაუჩნდა ეროვნული საკითხები და ამ საკითხების დასაკმაყოფილებლად გადაჭრილ პასუხებს იძლევა. მას უკვე აქვს თავისი პოლიტიკური კრედო „საქართველო ქართველთათვის“.

(დასასრული იქნება)

---

*) ეს წერილი დაწერილი იყო, როდესაც მოვიდა გლეხი გრიგოლაშვილი და მიამბო, რომ უკანასკნელ თხოვნაზეც, რომელიც აქ არის მოთავსებული და რომელიც მუხლის თავზე დაჩოქილმა თბილისის ვოგზალზე მივართვი ნამესტნიკს ვორონცოვ-დაშკოვს, ორჯერ მკითხეს სად გინდა ადგილი მოგცეთო მე ვუპასუხე სადაც გნებავდეთ და უკვე უარი მომივიდაო.

ავტორი.

ობისთვის, რომელიც ამ დღეებში განიხილავს ამ საჩივარს.

◆ **ქ. საქ. საზ.** მთავ. გამგეობამ მიიღო გადმოხვეწილებზე მზრუნავ კომიტეტისაგან 30,000 მანეთი. ქართველ მაჰმადიანთა სამოსელისათვის.

◆ **ქერი** თითქმის სრულებით არ მოიპოვება თბილისში, მოთხოვნილება კი დიდია, გუშინ-წინ 2 ვაგონი ქერი შემოვიდა თბილისში და მყიდველებს ჩხუბი კინაღამ მოუვიდათ ერთმანეთ შორის; ერთი მეორეს ხელში აგლეჯდნენ საქონელს. ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ყურადღება მიაქციოს ქერის გადმოზიდვას რუსეთიდან.

◆ **ჟურნალისტის განთავისუფლება.** 22 ამ თვეს მეტეხის ციხიდან გამოუშვეს ჟურნალისტი ნ. ჭუმბურიძე, რომელიც რამდენიმე დღის წინად ქუთაისში დაატუსაღა პოლიციამ.

◆ **თბილისში ჩამოვიდა** ბათომის ქალაქის თავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

◆ **დღეს**, 1 ს. **სახალხო სახლში** გაიმართება **დილა** სამს განყოფილებად: 1) ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია, დ. კასრაძისა. 2) გეურქ-აღა და შანტაჟისტები, იუმორისტული პოემა, წაკითხული იქნება გრიმებსა და ტანისამოსში. 3) ლექსები, სცენები და შარჟი. მონაწილეობენ: კ. დ. ყიფიანი, სოფ. მგალობლიშვილი, დ. კასრაძე, ა. იმედაშვილი, გ. იმხნელი, დ. მგალობლიშვილი, ბ. ახოსპირელი, რ. ჯიბლაძე, ი. ჟივიძე, მ. ჭიაურელი, ი. დაროშვილი და სხვ.

◆ **ქალაქის გამგეობამ** შეიძინა 20.000 ფუთი კართოფილი, ფუთი იყიდა 1 მ. 10 კაპ. გაჰყიდის ფუთს 1 მ. 20 კაპ.

◆ **შაქარი.** ფოთში ამ ჟამად არის მოტანილი 160.000 ფუთი შაქარი, ბათუმში 30,000 ფუთამდე. ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ შაქრის შეძენას აპირებს.

◆ **თბილისის კოოპერატივებმა** შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე დაუთმოს მათ 33 ვაგონი სხვა და სხვა პირველ საჭიროებათა საქონლის გადმოსაზიდად რუსეთიდან.

◆ **ფქვილი.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს ფქვილი ფოთში, სადაც ამ ჟამად 220 ვაგონი ფქვილია ქერჩიდან შემოტანილი, რომელთა შორის 120 ვაგონი ეკუთვნის ობერშმუკლერს, ხოლო 100 ვაგონი პარამონოვს.

◆ **ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიამ** 22 ამა თვეს განიხილა საკითხი ორთაჭალაში მტკვარზე ხიდის აგების შესახებ და დაადგინა დაავალოს ინჟინერს ლისიციანს შეადგინოს საესკიზო გეგმა ხიდისა და ხარჯთ-აღრიცხვა და წარმოუდგინოს კომისიის მახლობელ კრებას. კომისიამ აგრეთვე განიხილა შუამდგომლობა კერძო საელექტრონო სადგურების პატრონთა შესახებ იმისა, რომ გადათვალიერებულ იქმნას მათსა და ქალაქის თვით-მართველობის შორის დადებული ხელშეკრულობა, რომელიც ჟამთა ვითარების გამო საზარალოა მათთვის. ამის შესახებ კომისიამ დაადგინა, რომ სთხოვოს ქალაქის მოურავს ამ საგნის შესახებ თავისი მოსაზრებანი წარმოადგინოს ინჟენერ-ტეხნოლოგმა ნალბანდიანმა 28 იანვრამდე.

◆ **საგურამოს მამულის** საიჯარო პირობების შესამუშავებლად ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ აირჩია საბჭოს თავმჯდომარე თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, საბჭოს წევრნი ს. ნ. ყაზახაშვილი, ა. ფ. ყიფშიძე, ს. თ. ხუნდაძე და მდივანი ვ. ი. რცხილაძე. ამ არჩეულ პირთ პირობები უნდა შეიმუშაონ თავის მხრივ წ. კ. საზოგადოების მხრივ არჩეულ პირებთან ერთად გენერალ გ. ნ. ყაზბეგ, გ. ლასხიშვილს და გ. ცინცაძესთან ერთად.

◆ **სიონის გალავნის გაფართოების შესახებ.** ამ დღეებში საქართველოს ექსარხოსს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას პლატონს წარუდგება საგანგებო კომიტეტი, რომელსაც ნაკისრები აქვს სიონის გალავნის გაწმენდა და გაფართოვება და განუმარტებს საქმის მდგომარეობას. ამასთანავე კომიტეტი წარუდგენს ექსარხოსს ხარჯთაღრიცხვას და სთხოვს საჭირო თანხის მოსაპოვებლად დახმარებას. ხარჯთაღრიცხვაში გასავალ ნავარაუდევი 45,000 მან., რომელიც სჭირდება მუზეუმის შენობის აღებას, გადასახედ ადგილის გაკეთებას, ბაღის გამართვას ტაძრის საკუთრება ადგილზე მტკვრის პირას და სხ. კომიტეტს აზრად აქვს სთხოვოს ექსარხოსს ნებართვას გაიმართოს ფულის შეგროვება ამ ხარჯების დასაფარავად და რასაც შეგროვილ ფულ ვერ გასწვდება, იმისათვის რომელიმე თანხიდან გადაიღვას ფული.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ** ილიასეულ საგურამოს მამულის იჯარით აღების შესახებ პირობების შესამუშავებლად წერა-კითხვის საზოგაოოების მთავარ გამგეობასთან ერთად თავისს წარმომადგენლებად აირჩია თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ს. ყაზახაშვილი, ალ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე და ვ. რცხილაძე. აგრეთვე აკაკის ხსოვნის პატივსაცემად ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად რომელიც ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თაოსნობით იმართება 26 ამა თვეს, საბჭომ საზოგადოების წარმომადგენლად აირჩია ს. ყაზახაშვილი. შემდეგ საბჭომ დაადგინა, მიწადმოქმედების დეპარტამენტის შუამდგომლობის თანახმად დაუთმოს მომავალ ზაფხულში თავის იყალთოს მამულიდან $1^1/_2$ დესეტინა ადგილი მთავრობის ინსტრუქტორს ბ-ნ ზემელს ხაშხაშის დასათესად, რომლისაგანაც უნდა სცადოს ბანგის (ოპიი) დამზადება. ხარჯთაღრიცხვის შედგენის შესახებ საბჭომ დაადგინა, რომ საზოგადოების მამულების (იყალთოსა, საგარეჯოსა და ატენისა) ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაევალოს საზოგადოების მდივანს და ინსტრუქტორებს, ხოლო ხარჯთაღრიცხვა საგურამოს მამულისა შეადგინონ ს. ყაზახაშვილმა და ალ. ყიფშიძემ. რაც შეეხება კოოპერატივების საჭიროებათ, ამის ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაევალა დ. ყ. ჩხეიძეს, ა. ბ. გრიგოლიას, ლ. ნ. დიასამიძეს და ა. კ. კორინთელს.

# აკაკის პანაშვიდი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული ცნობის შესავსებად და შესასწორებლად პატივი გვაქვს ვაცნობოთ მკითხველ საზოგადოებას, რომ „საისტორიო საზოგადოების“ საბჭოს დადგენილებით, **იანვრის 26-სს,** აკაკის სულის საოხად გადახდილი იქნება **ორი პანაშვიდი:** ერთი—მგოსნის საფლავზე, წლის წირვის შემდეგ, რომელიც დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო მეორე—**საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში.** რადგან 26 იანვარი საქმის დღეა (სამშაბათი) და სამსახურის ხალხი დილით ვერ შესძლებს მამადავითში ასვლას, ამიტომ „საისტორიო საზოგადოების„ საბჭომ საჭიროდ სცნო მეორე პანაშვიდის დანიშვნა ქვაშვეთის ტაძარში საღამოს 6 საათზე, რათა ყველა ქართველს საშუალება მიეცეს—დიდებული მგოსნის პანაშვიდს დაესწროს.

# პრესის მაგიერი

„ცუდია იგი ვეზირი,
ვისაცა აქებს მტერია“

ზემო მოყვანილი თქმულება, მართლაც ფრიად დამახასიათებელია და ყველა დროისათვის გამოსადეგი და ზედგამოჭრილი. შორეულ და მახლობელ ისტორიაშიაც რომ არ შევიჭრათ, დღევანდელ ამბებიდანაც აშკარავდება ესა, თუ მოიგონებთ, **რა მოვლენების** გავლენით აქებენ თუ აძაგებენ ამა თუ იმ მინისტრ-ვეზირებს.

მართალია საქართველოს არა ჰყავს პასუხისმგებელი სამინისტროები ან ვეზირები, რომელნიც გამოხატავდნენ სიტყვით და საქმით ამა თუ იმ იდეის ან მიმართულების მიმდევართა სულის კვეთებას, მაგრამ სამაგიეროდ არის პრესა, უუფლებო ერისათვის თითქმის იმავე ფუნქციების შემასრულებელი, ვინაიდან ერის ხელმძღვანელი სხვა ორგანოები არ არსებობენ. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმეს და „ჰორიზონის“ (№ 11) გამოსვლას „სახალხო ფურცლის„ გვერდებზე (№ 485), სანუგეშოს ვერაფერს დავინახავთ.

სომხურ „ჰორიზონს“ განუზრახავს საქართველოს ჰორიზონტის მიმოხილვა და ახასიათებს ქართულ პრესას. „სახალხო ფურცელს“ მოჰყავს სომხური დახასიათება მხოლოდ „თანამედროვე აზრისა“ და „სახალხო ფურცლისა“, მაგრამ აქა-იქ უკვე ჟონავს დახასიათება სხვა ორგანოებისაც.

„თუ მივიღებთ მხედველობაში გაზეთის გამოსაცემად არსებულ ჯოჯოხეთურ პირობებს საზოგადოთ და მეტადრე კი მუშების გაზეთების გამოსაცემად და თუ გავიხსენებთ, რა დიდი დაპრკოლება ელობება წინ მუშათა გაზეთებს რუსეთში და კერძოდ კავკასიაში, დავინახავთ რამდენი ენერგია და სიმამაცე უნდა ჰქონდეს გაზეთის გარშემო შეკრებილ პირებს“.

ასეთ სამართლიან სიტყვებს უძღვნის „ჰორიზონი“ „თანამედ. აზრს“, მაგრამ არ ვიცით რისთვის დასჭირდა ეს „თავზედ ხელის წასმა“. განა ასევე არ უსვამდა ხელს სომხური პრესა „მარქსისტებს“, როცა არჩევნები იყო **სახ. სათათბიროში და განა სომხის**

# სიმღერა თარზე

ძღვნად ქ. დ-ს

რისთვის ვინაღვლო, თუ ის ვარდი ქარმა დაჰხარა?
დაგლიჯა მისი ფოთლები და შორს გადაჰყარა!?
ურგები იყო, ნიადაგი უცხომ დაბარა!
ისიც მეტია, ვინც კი მისთვის ცრემლი დაღვარა!
ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ ჩემი ნაღარა,
მოდით ყიჟინით, მოდით მასთან!—ერმა ახარა!

—

დაჭანცულ გულით რასაც ეძებთ, სხვაგან ვერ ნახავთ!
სხვას ყველას თვისი მიჯნური ჰყავს—თქვენსას რად სძრახავთ?
თქვენს განძს ვილა სცეს პატივი, თუ თვით გადაჰლახავთ?
მოდით ყიჟინით, მოდით მასთან—იმედათ გსახავთ!
სატრფო მოგელით და ლოდინმა გული დაღარა.
მან ისეც ბევრი იტანჯა და ცრემლი დაღვარა.
ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ ჩემი ნაღარა!

—

ერთი შეხედეთ, რა ტურფაა და მომხიბვლელი!
მარტოა ობლად! არავინ ჰყავს რაინდი მცველი!
ვინც ჰყავდა, უნდოთ დაუხოცეს, ჩვენ ღა ვართ მხსნელი!
ნუღარ ვაყოვნებთ, შეეხება მას უცხო ხელი!
შემოკრბით მასთან ჭაბუკი თუ ბერი-ჭაღარა!
მედგრად დასძახეთ: **ის** ჩვენია, ერმა ახარა!
ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ ჩემი ნაღარა!

**სანდრო შანშიაშვილი.**

„ერი“ მსხვილი ბურჟუაზიის სახით თავის ხმებს არ აძლევდა მარქსისტ ჩხეიძეს? განა „თან. აზრის“ სულის ჩამდგმელნი არ აცხადებდნენ: ჩვენ „სომხის პროგრესიული ბურჟუაზია გვირჩევნია, ქართულ ფედერალურ თავად აზნაურობასაო“. ყველა ეს ხდებოდა პროგრესიულ-დემოკრატიული სამოსელით და იჩაგრებოდა კია ნამდვილი ქართული, ეროვნული საქმე და რაღა თქმა უნდა სომხები გვიქებენ ასეთ „მინისტრებს“. ასევე აქებდა“ მათ ბ-ნი იშხანიანცი, როდესაც გამოვიდა თავისი ცნობილი ბროშურით „ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებაზედ; ასევე იქცეოდა სომხური „კავკ. სლოვო“, გადმოსახლებულთა პოლიტიკაშიაც და აკი კიდეც ათქმევინეს და დააკანონებინეს სიტყვით.

დათიაშვილისთანა გულუბრყვილო „მარქსისტებს“, რომ გადმოსახლებულთა ტალღა მისაღებია ჩვენგან და სხ. და სხ.

ასევე ელოლიავებიან მარქსისტებს სომხები ყოველთვის, როდესაც რაიმეს გამორჩენა უნდათ ქართველებისაგან.

მაგალითებით აღარ შევაწუხებთ მკითხველს მხოლოდ მოვაგონებთ, რომ მარქსისტების და სომხების სიყვარულის **საფუძველი** დემოკრატიულ (მუშების და გლეხების) ინტერესებში კი არ არის, არამედ ანტიეროვნულ მისწრაფებაში. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც, როგორც ყოველთვის სომხები ცუდი პოლიტიკოსები გამოდგნენ და რადგან სიყვარულის სიტყვიერებაში გამოეპარათ ობიექტიური **ეროვნული** საქმე, რომელსაც სამსახური გაუწიეს მარქსისტებმა. ჩვენმა დასელებმა გამოაღვიძეს და აამოძრავეს ყველაზედ უდიდესი და ულონიერესი ნაწილი ჩვენი ერისა—ჩვენი დემოკრატია, ჩვენი ხალხი და ჩააფიქრეს თავის ბედიღბალზედ. მართალია, გამოფხიზლებასთან ერთად ბევრი მავნე ოცნებაც მოახვიეს თავზედ, მაგრამ... როცა ადამიანი გამოფხიზლდება—მისი ბუნებრივი მოთხოვნილებანი თვითონ გაიკაფვენ გზას სიცოცხლისაკენ, რაც უნდა „ლამაზი“ ზიზილ-პიპილები უქადაგო. და მართლაც, ჩვენა ვხედავთ, რომ ის დემოკრატია, რომელიც გამოაღვიძა სოციალ-დემოკრატიამ ანტიეროვნული ჰანგებით, თანდათან ეროვნულ გზას ადგება და ხელმძღვანელთაც მიითრევს აქეთკენ.

სომხები აქ მოსტყუვდნენ, მაგრამ ჯერაც ვერა ხედავენ თავის შეცდომას და განაგრძობენ „მინისტრების“ ქებასა, რომელნიც სიტყვით ცუდები არიან საქართველოსათვის, მაგრამ თავის არსებობით ეროვნულ საქმეს მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს შეუგნებლად.

ამ მხრივ, არც „სახალხო ფურცლის“ სულის ჩამდგმელნი, მისი პირვანდელი ხელმძღვანელნი არიან დიდი დამნაშავენი. მათ პირველად და აშკარად წამოაყენეს **ეროვნული** მოთხოვნილებანი, და გააღრმავეს ეროვნული იდეა. ის ხალხი, რომელიც **გამოაფხიზლა** სოც.-დემოკრატიამ, **ეროვნულ ბილიკზედ** შეაყენეს სოც. ფედერალისტებმა და ეს იყო მათი „მადლი“ ქართველ ერისადმი, რომელსაც „მატლი“ მოაყარეს თავის ფსევდოსოციალიზმით.

და აი ჩვენ ვხედავთ, რომ სომხები ყოველთვის ბრაზმორეულნი ეკაპათებიან „სახალხო ფურცელს“, როგორც კი **ეროვნულ** საკითხის გარშემო ასტყდება რამე და ლაქუცით „თავს უქონავენ“, როცა მათს „სოციალისტურ“ თვისებებში ჰპოებენ **ქომაგობას სომხური ინტერესებისას.**

მაგალითებისთვისაც ნუ ვირბენთ შორსა. ქალაქების არჩევნების დროს „სახალხო ფურცელი“ და სომხები ერთმანეთსა სჭამდნენ ხოლმე (მხედველობაში ნუ მივიღებთ წრევანდელ წელიწადს, რადგან აქ სულ სხვა მოვლენები ჩაერია საქმეში, რასაც მერე შევეხებით), რადგან აქ სომხების ინტერესები ირღვეოდა, „ბეჟენცების“ და ტერიტორიის დათმობის საკითხში კი შეხმატკბილებულნი მღერიან, რადგან ეს სომხებისათვის სასარგებლოა. ხიზანთა საკითხი რა არის, იგიც კი კეთილგანწყობილებას იწვევდა სომხებში (და ადგილობრივ ბიუროკრატიაში) ფედერალისტებისადმი, რადგან მას **ეროვნული** ხასიათი ეძლეოდა და მაშასადამე სომხებისათვის არა სასიამოვნო. ახლა მოიგონეთ აჭარელთა საკითხი, სიბირსკების გამოსვლა „კავკ. სლოვოში“, მოიგონეთ „სტამბოლელი ხაჩაგოგები“, ვიცეს დეპეშა, და თქვენ მთლიანი სურათი წარმოგიდგებათ თუ როდის შეუძლიან „ჰორიზონს“ და მის მეგობრებს ჩვენი ფედერალისტების ქება, და როდის ძაგება; თქვენ ნათლად დაინახავთ იმ ეპიგრაფის სიმართლეს, რომელიც თავზე წავაწერეთ ამ წერილს. მაშინ დაუწყებენ ქებასა, როცა გამოელიან რასმე მათგანა და საკენკს უყრიან. საუბედუროდ სოც.-ფედერალისტების **ეხლანდელი** ხელმძღვანელნი იმდენად დაკნინებულნი არიან, რომ ადვილად ეგებიან ამ ანკესზედ და იმის მაგიერ, რომ თვისი ერის ინტერესებს იცავდნენ და ამაზედ ლაპარაკობდნენ, ისინი სომხების დაცვაზედ ღაღადებენ და სტირიან, რაიც ისე მალე გამომჟღავნდა თუნდ ბ-ნ თავდგირიძისთანა გამოსვლებით. აქაც შეგვიქებენ „ვეზირებს“, რაღა თქმა უნდა, რადგან ეს მათთვის ხელსაყრელია, თორემ რატომ ებრძვიან ასეთსავე მიმართულებათ **თავიანთ შორის**, რატომ არ აქებენ „პინსკისტებს“ და სხვა „სოციალისტებს“ თავიანთ სომხურ ფარგლებში.

მესამე მიმართულებად, სახელდობრ „საქართველოზედ“, ჯერ „დახასიათება“ არ წაგვიკითხავს, მაგრამ უკვე ზემოაღნიშნულ დახასიათებაშიაც გაბნეულია რამდენიმე გესლიანი სიტყვა ჩვენ მიმართ, რადგან სუსტი მხარე ისეთი ვერ უპოვიათ, რომ მათ სასარგებლოდ გამოსაყენებელი ყოფილიყოს. ესეც ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა და დარწუნებულნი უნდა ვიყვნეთ წინდაწინვე, რომ „საქებურს“ ვერც არას გვიპოვნიან, თუნდაც იმიტომ, რომ მიმართულებით ჩვენ ჩვენი ერისათვის თითქმის იმავე როლსა ვთამაშობთ, როგორც „ჰორიზონი“ თავისი ერისათვის, იმ გამონაკლისით რომ ჩვენ ჩვენი ერის ბედნიერებას მის საკუთარ ძალ-ღონეზედ ვამყარებთ

„ჰორიზონის“ დახასიათება არ იქნება ჩვენთვის „სასიამოვნო“, რასაკვირველია, მაგრამ რომ არც სასურველია—ეს ცხადია: ჩვენ გვინდა „მოვწონდეთ“ ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას და ამისათვის ვირჯებით, ამისათვის ვემსახურებით საქართველოს და ვინც ცუდ ვეზირობას უწევს სამშობლო ქვეყანას, ის ყოველთვის ქების ღირსი იქნება „მეზობლებისაგან“. „სახალხო ფურცელს“ მოსწონებია, როგორც ეტყობა, მისი საკუთარი „დახასიათება“ და კომენტარიებიც არ გაუკეთებია, ისე რომ არ ვიცით, როდის არის იგი ეროვნულად უფრო გულწრფელი: როცა მოსწონს „ჰორიზონის“ ქება, თუ როცა სწყინს მისი ძაგება. ჩვენ კი ქარისა შემოტანილიც არ გვინდა, რადგან არ გვინდა მისი გატანილიცა.

**რ. გ.**

# სათათბიროს მოლოდინში

„კარგად გაგებულ წრეებში სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას ამ დღეებში მოელიან“,—ასე ლაკონიურად გადმოგვცა გუშინ მოსკოვიდან ჩვენმა საკუთარმა კორესპოდენტმა. აღსრულდება ეს მოლოდინი? ან როდის იქნება იგი? იქნებ მოხდეს ის, რომ მოლოდინი მოლოდინად დარჩეს, როგორც გასულ წელს ბეჯითი რწმუნება მის გახსნის შესახებ გიორგობისთვისთვის ქრისტეშობისთვეში გადინერგა, ხოლო ეს უკანასკნელი უცნობ თვის წინამორბედ ბუნდოვან ეტაპად—ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ მით მაინც გვსურს ჩვენი ფიქრები, მელანქოლიით მოსილი ფიქრები, ქართველ მკითხველს გავუზიაროთ.

საზოგადოდ სათათბიროს მოწვევაგახსნა ბედმა თუ განგებამ ისურვა მხოლოდ განსაკუთრებულს პირობებში, სახელდობრ იმ პირობებში, როდესაც მდგომარეობა იგი მღელვარე ოკეანეს ზვირთადა სკდებოდა და სახელმწიფო ცხოვრება ტალღის მრისხანე რახტის წვერზე ეკიდა ხოლმე. და, რაც უფრო საყურადღებო იყო, მიმზიდველი, პარლამენტის სწორი იერით, ამ სიტყვის თითქმის სერიოზ მნიშვნელობით! მაგრამ დადუღდება თუ არა ცხოვრება, სათათბიროც კვდებოდა... უინტერესო, თითქმის თავ-მოსაბეზრებელი... კულისებში აქაიქ აშკარა ხმით ირწმუნებოდნენ კიდეც, დროა, ასეთი უსიცოცხლო სიცოცხლე სათათბიროსი დავასაფლავოთ და სულთათანა ვუგალობოთო! მაგრამ ეს გირდაწყვეტილება, ეს ხმა, ეს ბოროტი განზრახულება შავ მემარჯვენეთა უმალვე ჩაკლულ იქმნა 1914 წ. 19 თებერვალს. სათათბირო იგი კვლავ საჭირო იარაღი გახდა, სათათბირო იგი სანუკვარი იყო, მისკენ მიაპყრეს თვალი, იგი ჯადოსნურ კვერთხის ძალით შეჰმოსეს, რა არის მან მოახდინოს სასწაული და იმპერია ერთ კაცად, ერთ აზრად და ერთ ძალად გარდაჰქმნას ძლიერი მტრის შესამუსრავადაო. ისტორიას არ ვაგრძელებთ, დავკმაყოფილდეთ ამ ფაქტების გახსენებით.

მერე რას აკეთებდა სათათბირო? რამდენად ამართლებდა სახელმწიფოს იმედებს? ძალიან ცოტას, უკეთეს შემთხვევაში ის უფრო მართალი იქნება ითქვას, რომ **არაფერს!** ათეულ წლის დავაჟკაცებამ სათათბიროს პარლამენტის რეალი უფლება ვერ მიანიჭა მას. შორს ნუ წავალთ, გავიხსენოთ გასულ წლის 19 ივლისი, როდესაც დიდის ამბით იდღესასწაულეს ომის წლის თავი. ვიდრე დეპუტატები ლაპარაკობდნენ, მანამდე ასე თუ ისე თავისუფლად შეიძლებოდა სუნთქვა, არავის სიტყვის წარმოთქმისა არ ეშინოდა, სიმართლეს ამხელდნენ, მოითხოვდნენ ფარდის ახსნას, მილიუკოვები დაბეჯითებით ითხოვდნენ სრულს სიმართლის გაგებას ომის შესახებ, უთითებდნენ დამარცხების ნამდვილს მიზეზებზე, აღნიშნულ იქმნა ისიც, თუ ნამდვილი საფრთხე საიდან მოელოდა რუსეთს etc. მაგრამ განა მარტო ამას მოელოდნენ სახელმწიფო სათათბიროსაგან? განა ასევე არ მოიქცეოდა თუნდა ისეთი მინიატურული, ასე ვსთქვათ, პარლამენტი, როგორიც გახლავთ სერბიელთა „სკუპშჩინა“? ბალკანეთის სრულს დაპყრობის წინ, ვიდრე მაკენზენი გადაჰლახავდა დუნაის, განა ამ მიკროსკოპიულმა პარლამენტმა „სკუპშჩინამ“ ნაკლები აღფრთოვანება, ნაკლები პატრიოტული სიტყვები დაჰხარჯა? არა, ისეთ დიდ სახელმწიფოს წარმომადგენლებიდან, როგორიც რუსეთია, უფრო მეტს მოველოდით, ვიდრე მილიუკოვთა თამამი კრიტიკა გახლდათ.

ასეა თუ ისე, 19 თებერვლის რუსეთის საპარლამენტო ისტორიის ფურცლებზე აღინიშნება, როგორც უთავბოლო ლაყბობის დღედ. სათათბიროს მიერ ამ დღეს მიღებული ფორმულა გარკვეულს არას ამბობს, იგი არც ფორმულაა, ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით. ის, რაც ხსოვნად დაგვრჩება ყველას, ისიც **გულ-დამწყვეტ** ხსოვნად, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის განაპირა თუ პატარა ერებს, გახლავთ სათათბიროს მიერ დადასტურებული „კეთილ-სასურველი ყურადღება“, რაიც მოწყალებად მოიღეს ჩვენზე! „კეთილ-სასურველი ყურადღება!“ ეს ხომ სრული ანაქრონიზმია, უფლებრივი დახავსებული ფორმულა, რომელიც მხოლოდ პოლიციურ სახელმწიფო ბრძენ მმართველთაგან შეიძლება მოისმინოს ადამიანმა და არა საპარლამენტო სახელმწიფო ხალხთაგან! სავალალო ის არის, რომ ასეთი ფორმულა, ფორმულა კი არა, თუ განზავთ სასაცილო აფორიზმი, წარმოთქმული და გამოქვეყნებული გახლავთ იმის გვერდით, სადაც ნათქვამია: „ომი ბოლომდის! სწრაფი გამარჯვება საზოგადო აღფრთოვანებით და ერთსულოვნებით უნდა მოხდესო!“

ბევრი რამ ხდება გაუგებარი ამ ქვეყანაზე, მაგრამ ასეთი გაუგებარი გარდაწყვეტილება სათათბიროსი, თითქოს განგებ, პატარა ერთა შეურაცყოფად, ისიც მაშინ, როდესაც ყველას ერთ დროშის ქვეშ მოგვიწოდებენ ერთის მიზნის განსახორციელებლად, სწორედ მაშინ, როდესაც მართლა აღფრთოვანებით გავრბივართ ბრძოლის ველზე და თუ წინ არა, უკან არას ოდეს არ დაგვიხევია, გვესმის ასეთი ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი ფორმულა! დაე, სათათბიროს უმრავლესობა ადგეს იმ აზრს, რომ შეუძლებელია ყველას მოქალაქეობრივი და ეროვნული გათანასწორება, დაე, ნუ მიემხრობა ამ საკითხის პრინციპიალ აღძრას, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ იმპერიის თვითეულ ერს, როგორც მის შემადგენელს ელემენტს, აქვს თავისი ელემენტარი მოთხოვნილება, რომლის უარყოფა ასეთი ტლანქი ფორმულებით ერთიანად ჰლახავს მის თავმოყვარეობას და პატივს. ყოველს საუკუნეში, ყოველს ერს, ხალხს, მოდგმას ჰქონდა თავისი რწმენა, იდეა, რისთვისაც მიდიოდა საბრძოლველად, რისთვისაც მიაფრიალებდა დროშას სიკვდილის ველზე. ასეთმა ფორმულებმა კი პატარა ერებს მოგვიკლა სარწმუნოება, მოგვიკლა არა იმიტომ, რომ ბრძოლისა და სიკვდილისა გვეშინოდეს, არამედ იმიტომ, რომ ვიწრო, სახელმწიფო მმართველთა ლატაკმა პოლიტიკამ, მათმა პოლიტიკის უბრძნეო სიბრძნემ ასე ისურვა, რომ სახელმწიფო ტერასზე მაღლიდან ეყურებინათ ჩვენთვის, მათ გვერდით მებრძოლთათვის, როგორც პატარა და დაბალ ჯიშის მოდგმის ადამიანებისთვის! თურმე მომენტის იმპერატივი ასეთ სიბრძნეში დაუნახავთ!

ყველა ეს კარგი, მაგრამ რა იქნება ხვალ, თუ ზეგ? გვქონდეს რაიმე იმედები? წინასწარმეტყველება არც ისე ძნელია: სრული იმედები უნდა გვქონდეს, რომ მომავალ სათათბიროს ჩვენთვის ახალი განმზადებული ფორმულა ექნება, რომელიც „დამაკვირდის“ მორიგ ანდაზად გამოდგება. ჩვენ ეს გვწამს, ჩვენი ფიქრების მელანქოლიური სამოსიც მიტომ თვის შავებს ვერ იშორებს, ვერ მხიარულობს...

**დ. კასრაძე.**

# მეურნეობა აჭარა-ქობულეთში

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის მოხსენება)

ბათომის ოლქი, მთელი აჭარა-ქობულეთი—სამეურნეო კუთხეა, ამ მხრით მას კავკასიის ვერც ერთი პროვინცია ვერ აჯობებს. აჭარა-ქობულეთში მეურნეობის ყველა დარგი სამრეწველო ნიადაგზე შეიძლება დადგეს და მით (რაციონალური მეურნეობით) მცხოვრებთ მილიონები მისცეს. ბუნების საარაკო სიუხვეს ჩვენი ძმები, ქართველი მუსლიმანები გაუზარმაცებია. აჭარა-ქობულეთის მიდამოების ბუნება—მცხოვრებთა მცოდნე უცხოელი მეცნიერი ხუმრობის კილოთი ამბობდა, რომ ბათომის ოლქის მკვიდრნი წელიწადში მხოლოდ 44 დღეს მუშაობენო. სანამ ახლოს არ გავიცნობდი ამ კუთხის მცხოვრებთ, მანამდე მეცნიერის აზრი გაზვიადებული მეგონა, მაგრამ როცა ახლოს გავეცანი ადგილობრივ მცხოვრებთ, მერე დავრწმუნდი, რომ მეცნიერი დიდათ არ ცდებოდა: 2—3 ქცევა სასიმინდე მიწის დამუშავება, ათიოდე კვალი კეჟერა მხალის მოყვანა, რამოდენიმე ძირი კაკლის (ნიგვზის) ხის დაბერტყა, რამოდენიმე სული თხა-ძროხის მოვლა, სკებიდან თაფლის გამოღება (ხილვა) და სხვა წვრიმანი საოჯახო საქმე ეს არის სულ აჭარელ-ქობულეთელის მეურნეობა. არც ერთი აჭარელი სამრეწველო კულტურულ-რაციონალურ მეურნეობას არ მისდევს. ამ უკანასკნელი 3—5 წლის განმავლობაში საბედნიეროთ ქობულეთლებმა იწყეს მანდარინისა (ნარიჯი) და ჩაის გაშენება, აჭარაში სანიმუშოთაც ვერ შეხვდები ახალ დამყნილ ხეხილს ან სხვა რამეს. სიმინდის ყანა, ბოსტანში კეჟერა (Кольраби) ეს არის აჭარელის მიწათ-მოქმედება. აჭარლები შეჰყურებენ პაპისა და პაპის პაპის მიერ დამყნილ გაველურებულ ხეხილს, მაგრამ წარმოიდგინეთ ბუნების სიუხვაქაც სწყალობს აჭარელს და ნახევარად გამხმარი ფუღუროიანი ვაშლისე და მსხალის ხე ბლომად იძლევა ნა-

ყოფს გემრიელსა და სურნელოვანს. გურიაში სახელგანთქმული ჩხავერი (შამპანიური ღვინო იცის) სულ გაანადგურა ფილოქსერამ. აჭარაში კი უხსოვარი დროიდან ხეზე მირგული გატყიურებული (გაველურებული) გაუსხლავ-უწამლო კიდევ ისხამს და ყურძენიც მწიფდება. ერთი სიტყვით, საოცარია აქაური ბუნების სიუხვე, მაგრამ სამაგიეროთ, ვიმეორებ, საქართველოს არც ერთი კუთხის მცხოვრებნი მეურნეობას ისე არ გაურბიან, როგორც აჭარელი. ამიტომაც თუ ჩვენ მართლა და გულით გვწადია ამ დაკარგული ძმების შემოერთება, თუ გვსურს მათი სიკეთე და წარმატება, მაშინ, ყოველივე ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, რათა ისინი ეკონომიურად დაწინაურდენ, უნდა ვეცადოთ აჭარელ-ქობულეთლებს შეუყვარდეს მამულ-დედული მიწა. მიწა მას მაშინ უფრო შეუყვარდება, როცა მასზე ხედავს თავის ხელით დარგულ-დამყნილს, თავის ოფლით განზანილ ჭირნახულს—მის მარჩენალს. ეს კი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მათში ფეხს მოიკიდებს სამეურნეო ცოდნა. მაშასადამე წერა-კითხვასთან ერთად ჩვენ უნდა ვეცადოთ და აჭარელ ქობულეთლებს შევასწავლოთ მეურნეობა და ეს მშვენიერი სამოთხისებური კუთხე სამრეწველო ბაღათ ვაქციოთ.

—

აჭარა-ქობულეთის გეოგრაფიული მდებარეობა სამეურნეო რაიონებით ჰყოფს, ამიტომაც თითეულ კუთხეში განსაკუთრებული (ადგილობრივი ბუნებრივი პირობების მიხედვით) სამრეწველო მეურნეობა უნდა მოეწყოს. თითქმის მთელ ქობულეთში მშვენივრად ხეირობს ციტრუსული კულტურა (მანდარინა, ფორთოხალი, ლიმონი, ციტრონი და სხ.), ჩაი, ბამბუკი მანეული (კალათ-ყუთების საწნავი ტირიფი) და სხვა. ვისაც აქვს გაშენებული დიდ შემოსავალს აძლევს აგრეთვე ვარდი, რომლის კულტურა ზამთარზაფხულ წარმოებს. არა ნაკლებ შემოსავალს იძლევა ნაზი და სათუთი სამხრეთის (ტროპიკული) მცენარეები. ქობულეთს, როგორც რკინის გზის და სავაჭრო ქალაქზე ახლო ადგილს დიდ შემოსავალს მისცემს ბოსტანი. ბოსტანი (ბაღჩა) აქ მუდამ, მთელი წლის განმავლობაში ილაღანებს, აქ არ იქნება საჭირო სათბურები (პარნიკი) და ხელოვნური შუშაბანდები. პირიქით აქ ბუნების წიაღში შეიძლება აღიზარდო საადრიო ნერგები და მიაწოდო ცივ სხვა მხარეს. ქობულეთის მიდამოებში ჩემის აზრით მცხოვრებლები უმთავრესად უნდა დაემყარონ მანდარინისა, ჩაის მოყვანას და მებოსტნეობას. მანდარინის კულტურა ყველაზე მეტი ხელსაყრელია და მისი მოვლამოშენება არც დიდ დროსა და ოსტატობას ითხოვს. შემოსავალიც ადრე (მესამე-მეოთხე წელიწადს) და ბარაქიანი იცის. 1—2 ქცევა მანდარინით გაშენებული მიწა ერთ საშვალო ოჯახს შეინახავს, 3—5 ქცევის შემოსავალი კი სოფლის სკოლის ყოველივე ხარჯს დაფარავს.

აჭარის ძირი (ქვედა აჭარის ნაწილი და გონიის საზოქაულო), შავი ზღვის პირა ადგილები, თითმის ისეთსავე კულტურას იგუებს, როგორსაც ქობულეთი. აქ მხოლოდ არ უნდა მივიღოთ სახეში კახაბერის სახნავ-სათესი ვრცელი და ფართო მინდორი. კახაბერის მინდორი აჭარლების ძუძუა, აქ მოწეულის სიმინდით იკვებება ქვედა აჭარა და მოსავლის ზედმეტს ზედა აჭარელზე ჰყიდის. ეს მინდორი ისევ სახნავ სათესათ უნდა დარჩეს და ყანის მუშებს აქ უნდა უჩვენოთ გაუმჯობესებული სახნავ-სათესი იარაღების ხმარება და სიმინდის მწკრივზე (წკაპათ) თესვა და ოსტატური მოვლა.

აჭარის დანარჩენ ადგილებში კი უპირატესობა უნდა მიეცეს ხეხილისა და სამრეწველო ბაღების გაშენებას, აჭარლების შემოსავლის უმთავრესი წყაროც მომავალში ამაზე უნდა დამყარდეს. ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ აჭარაში მოწეული ხილი (ვაშლი და მსხალი უმთავრესად) თავის ღირსებით, სურნელებითა გამძლეობობით (ტრენსპორტით) შესძლებს მეტოქეობა გაუწიოს ქართლის ნაქებ ხილს. ხულოს ზემოთ, სოფ. სხალთას მოწეული ვაშლი, გაველურებული ხის ნაყოფი, მაის-თიბათვეში ახლად მოწყვეტილს მოგაგონებს. გარდა ამისა აქაური მეხილეობა სარფიანი იქნება კიდევ იმისათვის, რომ აქ ერთი და იგივე ჯიშის ხილი სხვა და სხვა დროს შემოდის. მაგალითად ქვედა აჭარაში (ქედას ქვემოდ შავი ზღვის პირამდე) ბალი შემოდის მაისის ბოლო რიცხვებში ან თიბათვის პირველ დღეებში, იგივე ჯიშის ბალი კი ხულოსა და მის მიდამოებში 20 მკათათვეს მწიფდება. ასეთი განსხვავებაა სულ რაღაც 30—40 ვერსის მანძილზე და ამას ცხადია სამრეწველო ბაღებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

გარდა ვაშლისა და მსხლის გაშენებისა აჭარლებს უნდა ურჩიოთ თხილის გაშენებაც. თხილი გურულებს დიდ შემოსავალს აძლევს, აჭარაში კი მეტადრე მაჰახლის თბილს და უქარულ ხეობაში თხილი მშვენივრად იხეირებს და გაცილებით მეტ შემოსავალს მისცემს აჭარელს, ვიდრე გურულს. აჭარაში კი თხილი, ეს ყველა მუსულმანის სანუკვარი ხილიც ნაკლებია და გასაყიდი თითქმის სულ არ რჩებათ. თხილსა და ხილს კი არა ამ ბოლო წლებში უბრალო ხამი ტყემლის ნაყოფსაც კი ფასი დაედვა, მაგრამ სამწუხაროთ არც ეგ მოიპოვება...

(შემდეგი იქნება)

აპ. წულაძე

## საზონოვის აზრი

რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს „რუსკ. სლოვოს" თანამშრომელთან საუბრის დროს გამოუთქვამს თავისი აზრი საგარეო პოლიტიკის თაობაზე. მოგვყავს მოკლედ.

**მთაშავეთი.**

რადგანაც უკანასკნელი დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს, ჯერ გადაჭრით ვერას ვიტყვით. უკანასკნელი ცნობებით მთაშაველთა ჯარის ნაწილი სამშვიდობოს გაუყვანიათ და დასვენების შემდეგ კვლავ შესძლებს ბრძოლას. მთაშავეთში მყოფი რუსეთის ელჩი ლიონს გაემგზავრება მთაშავეთის მეფე ნიკოლოზთან.

**ბალკანეთის ვითარება.**

სერბეთის ჯარის განადგურების შემდეგ, ბალკანეთის მდგომარეობა საგონებელში ჩამგდებია. ცხადია, სერბეთის დაღუპვამ, მთაშავეთი მეტად აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ ორი სახელმწიფოს ბედი მოკავშირეთა ბედთან არის გადაბმული და ბალკანეთის საკითხიც მაშინ გადასწყდება, როდესაც სიმართლე გაიმარჯვებს.

**საბერძნეთი.**

ნებით თუ უნებლიეთ საბერძნეთი ნეიტრალობას მაინც იცავს. იმედი უნდა ვიქონიოთ, იგი მოკავშირეთა წინაამდეგ მაინც არ წავა.

**რუმინეთი.**

რუმინეთთან რუსეთის განწყობილება დამაკმაყოფილებელია. ევროპის შუა სახელმწიფონი ყოველის ღონით სცდილობენ რუმინეთის გადაბირებას. თუმცა დღესაც არა სცხრებიან ავსტრია-გერმანეთის აგენტები და რუმინეთში დაუღალავად მოქმედებენ, მაგრამ ეტყობა მათს ქადაგებას ისეთი ძლიერი გავლენა აღარა აქვს.

**შ ვ ე ც ი ა.**

თუმცა ჩვენი მოსისხლე მტრები სცდილობენ შვეცია გადაგვამტერონ მაგრამ რუსეთ-შვეციის მეგობრობა თანდათან მტკიცდება. რა თქმა უნდა შვეციაშიაც არის შოვინისტური მიდრეკილება, როგორც ყველგან. ვინც რა უნდა სთქვას, მე კი ვიტყვი, რომ თუ შვეციას ოდესმე დასჭირდება მისეული მტრის მოგერიება, ასეთი მტერი რუსეთი არ იქნება. ინგლისის მიერ მიღებული ზომები საზღვაოსნო კონტრაბანდის გამო, მართალია, შვეციაში აფორიაქების საბაბად გადიქცა, მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველაფერი მოწესრიგდება. დღეს ინგლისი იძულებულია თავისი არსებითი ინტერესები დაიცვას, თუმცა, ამავე დროს იგი ნეიტრალ სახელმწიფოების ინტერესებსაც ანგარიშს უწევს.

**ი ა პ ო ნ ი ა.**

რუსეთისა და იაპონიის მეგობრული განწყობილება თანდათან მტკიცდება, მით უმეტეს, რომ არც საბაბი აქვთ პოლიტიკური განხეთქილებისათვის.

**ჩ ი ნ ე თ ი.**

მოკავშირეთა შეთანხმებული მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში დამტკიცდა. მათ ჩინეთს ერთხმად მოსთხოვეს, თვითმპყრობელობას ეხლა ნუ აღადგენო. ჩინეთის მთავრობას არავისთვის არ უცნობებია, მართვა-გამგეობას ვცვლიო, მაგრამ ავსტრია აჩქარდა და პეკინის მთავრობას თვითმპყრობლობის აღდგენა დაუდასტურა.

**სეპარატიული ზავი.**

გერმანეთს ბევრჯელ შემოუთვლია. სეპარატიული ზავი შევკრათო, მაგრამ მუდამ უარი მიუღია. სეპარატიული ზავი, არსებითად რომ ითქვას, სახელმწიფოს გაკოტრებას უდრის. გაკოტრების სურვილი კი ცხადია, უაზრობაა.

**ომის ბოლო.**

გერმანეთი მრავალწლიან ომს ვერ გაუძლებს. ამისათვის იმის თქმა, ვითომც ომი რამდენიმე წელიწადს გაგრძელდებაო, შეუძლებელია. ომის გათავება წელსვეა მოსალოდნელი, ასე გიორგობისთვემდე.

## პროვინციის ქრონიკა

**ს. ხულო (აჭარა).**

აქაურები ელოდენ, რომ ხულოში გაიხსნებოდა „ტატიანის" სახელობაზე სკოლა. მცხოვრებლებმა მოიყვანეს ბავშვები და მოუთმენლად ელოდენ ბათუმიდან სკოლის გამხსნელ ხელმძღვანელ მასწავლებელს, მაგრამ არავინ მოვიდა და ხალხი გულ ნატკენი დაიშალა. დიდ გაჭირებას განიცდიან მეტადრე ამ ზამთარში. შველას საჭიროებენ.

**ხ. ლეხაინდრაო** (სენაკ. მაზრა).

ლეხაინდრაოს მდებარეობა კარგი აქვს, მაგრამ ის მაინც ჩამორჩენილა სხვა მეზობელ კუთხეებთან შედარებით. ხალხი გართულია სხვა და სხვა უმიზნო თამაშით და ერთხელაც არ მოიფიქრებენ, რომ სოფელსაც უნდა აყვავება.

**დ. ცაგერი** (ლეჩხუმი).

აქ არსებობს სამკითხველო, მაგრამ არავინ დაიარება გარდა ინტელიგენტებისა. არ უწევენ ანგარიშს ამ მოვლენას ჩვენი მოწინავე თაობა და არ უხსნის გლეხს, რომ იმისთვის საჭიროა ცოდნა განვითარება და წინ სვლა.

**ბორჩალო.**

2 იანვარს ბორჩალოს მაზრაში აირჩიეს ოცის თავები, რომელნიც წარადგინეს თბილისის გუბერნატორთან დასამტკიცებლად. ამ მოკლე ხანში მოხდება მამასახლისების არჩევა.

**ს. ყალამშია** (ბორჩ. მაზრა)

აქაური მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. დიდი ხანია რაც მთავრობას მიმართეს, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსვლიათ.

**გორი.**

დაარსდა სამაზრო-სასურსათო კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს მაზრის უზრუნველსაყოფად სურსათის მხრივ.

**ს. ორხევი** (თიანეთის მაზრა).

ს. ორხევის გლეხები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, აქ ისევ ბატონ-ყმური განწყობილებაა. მემამულეები სასტიკად ეპყრობიან გლეხებს.

## მუშათა შორის

**ჭიათურა.**

ჩილინგაროვის სამრეწველოში მუშაობს დაახლოვებით 30—40 კაცამდე. ეს მუშები თვითონ კანტორას არა ჰყავს დაქირავებული, ამიტომაც მუშების ბედ-იღბალი აქაურ „მეფუთეებს" აბარიათ და განაგებენ მუშების საქმეს ისე როგორც თვითონ მოესურვებათ.

**შავი ზღვის რკინის გზის მუშები.**

აქაურ მუშებს და მოიჯარადრეებს დიდი უთანხმოება მოსდით. თავის დროზე არ აძლევენ ჯამაგირებს და თუ მისცემენ იმასაც ნაწილს. აუტანელი სამუშაო პირობებია, მუშებისთვის.

## სომეხთა ცხოვრება

**ეპისკოპოზ კარაპეტის ხსოვნას**

16 იანვარს თბილისში სომეხთა ეთნოგრაფიულ საზოგადოების სხდომაზე ნერსესიანმა მოკლეთ გააცნო დამსწრეთ ეპისკოპოზ კარაპეტის მოღვაწეობა და მისი მოკლე ბიოგრაფია. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა კარაპეტის ხსოვნას.

**შემოწირულებანი**

გაზ. „ბაქოს" და „კასპს" მოსდით მუდამ დღე მრავალი შემოწირულებანი გამოქცეულ სომხებისათვის.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

მაჰმადიანთა მომხმარე საზოგადოებამ მოსკოვში გამართა საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

— მოსკოვის სახალხო თეატრის ყრილობაზე ა. ისხაკოვმა წაიკითხა მოხსენება „მაჰმადიანთა თეატრის მდგომარეობა".

— ასტრახანში მაჰმადიან ქალთა წრემ „მუვლადის დღე" დიდი ზეიმით გადიხადა. დაესწრო 200 ქალამდე, ითქვა გრძნობიერი სიტყვები და მოწაფე ქალები მღეროდნენ მშვენიერ ჰანგებს.

— 22 იანვარს ტაგიევის თეატრში მაჰმადიანთა დასმა წარმოადგინა ოპერა „ო ოლმასუნ ბუ ოლსუნ".

**„ნიჯათის" საზოგადოება.**

ოთხშაბათს, 20 იანვარს, დანიშნული სხდომა „ნიჯათის" საზოგადოებისა გადაიდვა 24 იანვრისათვის. ამ დღისთვის მოწვეულია მრავალი საზოგადოება.

## რუსეთი

**როძიანკო და პიტირიმი.**

პეტროგრადის მიტროპოლიტი პიტირიმი სადარბაზოდ მისულა სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკოსთან.

ამბობენ, ვითომ პიტირიმს გამოეთქვას ის აზრი, რომ სათათბიროს მუშაობა მალე განახლდება და საჭიროა მხოლოდ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და მთავრობასთან შეთანხმებული მუშაობაო. როძიანკოს უთქვამს: მეძნელება პასუხი მოგახსენოთ მაგისთანა არსებითს საკითხებზე, რადგანაც თქვენ ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელი ბრძანდებით და თქვენის მაღალის ხარისხით არ უნდა ერეოდეთ ყოველდღიურ მწვავე პოლიტიკურ საკითხებშიო.

**უსინათლო ვექილი.**

მოსკოვის ვექილთა საბჭოში ვექილის თანაშემწედ ჩარიცხვა ითხოვა ვინმე ბროუდემ, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტი დაუსრულებია. ბროუდე დაბადებითვე უსინათლო ყოფილა. უნივერსიტეტი პირველი ხარისხით დაუსრულებია. ბ-ნი ბროუდე მოსკოვის ვექილთა საბჭომ თავის წრეში მიიღო და იგი ვ. ა. მაკლაკოვის თანაშემწედ ჩაირიცხა.

**მიმოსვლის განახლება.**

17 იანვრიდან განახლდა პეტროგრად-მოსკოვს შუა სახალხო მატარებლების მიმოსვლა, რომელიც ერთის კვირით შეწყეტილი იყო. მოსკოვიდან პეტროგრადში წასასვლელი ბილეთები სულ გაყიდული ყოფილა ამ თვის 29-დე.

**პლაცკარტების გაუქმება.**

პეტროგრადიდან როსტოვისაკენ მომავალ მატარებელში (№ 5) პლაცკარტები გააუქმეს. პლაცკარტები ეძლევათ მხოლოდ ტაშკენტისა და კისლავოდსკის ვაგონებში.

**გერმანეთის საელჩოს სახლი პეტროგრადში.**

შინაგან საქმეთა მინისტრი ა. ნ. ხვოსტოვი მინისტრთა საბჭოს წინაშე შუამდგომლობს, რომ ხაზინამ იკისროს ამ სახლზე გაწეული ხარჯი. ეს სახლი 1915 წ. 18 მაისს აიკლეს, დაანგრიეს. ამის გამო გერმანეთის მთავრობამ ამ სახლის შენახვაზე ხელი აიღო. რუსეთის მთავრობას კი მის შეკეთება-შენახვაზე დღევანდლამდე 45000 მანათამდე დაჰხარჯვია. ხვოსტოვი მინისტრთა საბჭოს წინაშე შუამდგომლობს ეს ხარჯი ხაზინამ იკისროს.

## უცხოეთი

**ჩინეთის რევოლიუცია.**

მას შემდეგ რაც იუანშიკაიმ ჩინეთის რესპუბლიკა ფეხქვეშ გასთელა და თვითმპყრობელობა აღადგინა, ჩინეთში რევოლუცია დაიწყო. ჯერ კანტი-კუნტი ცნობები იბეჭდებოდა გაზეთებში, მაგრამ როდესაც საქმე გაიზარდა, მღელვარება ძველ ჩინეთს მოედო და ამბოხება დარაზმულ და მოწესრიგებულ რევოლუციად იქცა, გაზეთებმაც უფრო მეტად აჰხადეს ფარდა ჩინეთის სქელ კედლის გადაღმა წარმოებულ ბრძოლის სურათს. რევოლუციონერებს, როგორც სჩანს კარგად დარაზმული ჯარი ჰყავთ, რომ მთავრობის გაწვრთნილ ჯარს ქედს ახრევინებს და ქალაქს-ქალაქზე იმორჩილებს. 16 იანვარს ჩუნკინგთან ბრძოლის შემდეგ მთავრობის ჯარმა უკან დაიხია. რევოლუციონერებმა აიღეს [illegible] აქ მათ 20 ათასი [illegible] რევოლუციონერთა ჯარმა აიღო ქალაქი ვუკიანგუ და მთავრობის ჯარი იძულებული გახდა იანცეკიანგის სამხრეთ ნაპირებზე გადასულიყო. რევოლიუციონერებმა ქ. ჩანგტუც აიღეს, მთელი სიჩუანის მხარე (პროვინცია) მათს ხელში იქნება.

გაზეთების ცნობით, ჩინეთის რევოლიუციონერები თანამედროვე ომის გამოცხადებით ჩინებულად სარგებლობენ: დაიპყრობენ თუ არა რომელიმე ქალაქს, თუ დაბას, მაშინვე მის გამაგრებას შეუდგებიან, ჩააყენებენ სამხედრო მმართველობას, მცხოვრებლებს კონტრიბუციას გადაახდევინებენ, მოქალაქეებს ფართე უფლებებს ანიჭებენ. თუმცა დამნაშავეთ უწყალოდ სჯიან, თუ რევოლიუციონერთა განკარგულებანი დაარღვიეს.

—

რევოლიუციონერებმა, უკანასკნელის ცნობით, ქალაქი სიჩუან-სანჩუნიც აიღეს. მთავრობის ჯარი გაიქცა იანცეკიანგას ქვემო მდინარეობისაკენ. ამბობენ კანტონის გუბერნატორი რევოლიუციონერებს მიემხროვო.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

ჯან-გატეხილ და დასუსტებულ

# ავადმყოფებს

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეს), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების სადარაჯო სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნეებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნალმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით ან როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდ დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდ ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭდვით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულ ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატს, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.
2. გაარჯლებულ სუსუნატს მორჩენა—12 მ. 50 კ.
3. ნერვების აშლილობას, სქესობრივ უღონობას, ჯანის დაკარგვას, სისუსტეს, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩაჩანკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.
4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.
5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასია, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.
6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ლვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.
7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდის მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.
8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობის (კატარი), პლევრისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც ვვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბრალოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пушкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგვინეთუხუცესები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.